საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ავტორიზებულ პირებს

შპს „ახალი ქსელების "-ს "Bckhaul" გადაცემის ქსელთან დაშვების შეთავაზების წინადადება

მოწვევის ოფერტა

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2018 წლის 6 დეკემბრის № 671/9 გადაწყვეტილების შესაბამისად)

1. ოფერტის მოქმედების გეოგრაფიული საზღვრები:
(გადაწყვეტილების მე-7 შესაბამისად)

ა) თბილისის ადგილობრივი მომსახურების ზონა;
ბ) ქუთაისის ადგილობრივი მომსახურების ზონა.

2. დაშვების ტარიფები
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ა) ქვეპუნქტის შესაბამისად)

ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელთან დაშვების მომსახურება 1 (ერთი) ბოჭკოს მომსახურების ყოველთვიური საფასური (არ მოიცავს გადასახადებს) ლარი/კმ	მონაცემების ტრანსპორტირების მომსახურება 1 (ერთი) მბიტ/წმ არხის მომსახურების ყოველთვიური საფასური (არ მოიცავს გადასახადებს) ლარი
14.90	0.50

3.ანგარიშსწორების პირობები
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

3.1. ახალი ქსელები და აქცეპტანტი გაწეული მომსახურების აღრიცხვას განახორციელებენ ყოველთვიურად, რომლის შესახებაც დგება საოქმო გადაწყვეტილება არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვამდე. ხოლო ანგარიშსწორება წარმოებს, არაუგვიანეს საოქმო გადაწყვეტილების ან საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურის მიღებიდან 10 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტანტის მიმართ ახალი ქსელების მხრიდან გამოყენებულ იქნება 4.2.3, 4.2.4 პუნქტით გათვალისწინებული უფლება, ანგარიშსწორება იწარმოებს წინასწარი გადახდის პრინციპით. ასეთ შემთხვევაში, თუ ახალი ქსელების მხრიდან გაწეული მომსახურების ოდენობა მიაღწევს აქცეპტანტის მიერ წარმოდგენილი ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ოდენობას (აგრეთვე საბანკო გარანტიის შემთხვევაში - ამოიწურება საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა), ახალ ქსელებს ეძლევა უფლება შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე შეწყვიტოს მომსახურება და თუ აქცეპტანტი 3 დღის ვადაში არ წარმოადგენს ხელშეკრულების შესრულების გარანტიას ახალ ქსელებს უფლება აქვს, ყოველგვარი დამატებითი გაფრთხილების გარეშე შეწყვიტოს

ხელშეკრულება.

3.2. აქცეპტანტის მხრიდან 3.1 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში საოქმო გადაწყვეტილების ხელმოწერილი ეგზემპლარის ახალი ქსელებისათვის მიუწოდებლობა ჩაითვლება უარად მომსახურების მიღებაზე და აქცეპტანტის ნების გამოვლენად ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

3.3. ახალი ქსელები უზრუნველყოფს გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშ–ფაქტურის მიწოდებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად.

3.4.ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში, ახალი ქსელები უფლებამოსილია წერილობითი შეტყობინების საფუძველზე დააკისროს კონტრაჰენტს პირგასამტეხლოს გადახდა, გადასახდელი თანხის 0,2%–ს ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. პირგასამტეხლოს ოდენობა გამოიანგარიშება ანგარიშსწორების ვადის დარღვევის დღიდან, მიუხედავად წერილობითი შეტყობინების გაგზავნის თარიღისა.

3.5.ოფერტით და ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი პირგასამტეხლოს/ჯარიმის/ საურავის გადახდა დამრღვევ მხარეს დაეკისრება მხოლოდ წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე და წარმოადგენს მხარის უფლებას და არა ვალდებულებას დამრღვევი მხარის მიმართ.

3.6.მხარეები უფლებამოსილნი არიან, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, ანგარიშსწორება აწარმოონ მხარეთა შორის სხვა მომსახურებიდან/ხელშეკრულებიდან მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვით.

4.ქსელთან დაშვების და ხელშეკრუკრულების გაფორმების პროცედურები (გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.გ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

4.1.წერილობითი განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ მინიმალურ ინფორმაციას:

4.1.1 საფირმო სახელწოდება;

4.1.2 იურიდიული და ფაქტიური მისამართები;

4.1.3 ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი და ფაქსის ნომრები;

4.1.4 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის სახელი, გვარი, მისამართი და საკოტაქტო ნომერი;

4.1.5 საქმიანობის სახეები, რაზეც საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში (შემდგომში - კომისია) გავლილი აქვს ავტორიზაცია;

4.1.6 ქსელის მონაკვეთი, მომსახურების სახე, მოცულობა და აქტივირების სასურველი თარიღი.;

4.1.7 წინამდებარე ოფერტის მიხედვით წარმოდგენილ განაცხადში დაფიქსირებული უნდა იყოს განმცხადებლის დასტური, რომ იგი გაცნობილია, ეთანხმება და უპირობოდ შეასრულებს წინამდებარე ოფერტაში დაფიქსირებულ ყველა პირობას;

4.1.8 საკონტაქტო პირების სახელები, გვარები და ტელეფონის ნომრები.

4.2 წერილობით განაცხადს თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

4.2.1 ავტორიზაციის მოწმობის ასლი;

4.2.2 ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

4.2.3 ახალი ქსელები უფლებამოსილია მოსთხოვოს აქცეპტანტს, რომელსაც ახალ ქსელებთან არ ჰქონიათ სამართლებრივი ურთიერთობა, ან რომელიც ახალ ქსელთან მანამდე არსებული,

ამ ოფერტით გათვალისწინებული თუ სხვა სახის სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან გამომდინარე არ ან არაჯეროვნად ასრულდებდა ახალი ქსელების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების გარანტია. ხელშეკრულების შესრულების გარანტია გულისხმობს გამოუხმობად საბანკო გარანტიას ან ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხას. საბანკო გარანტიად მოიაზრება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ბანკის მიერ წარმოდგენილი ფულადი წერილობითი გარანტია, რომლის ძალითაც, გარანტიის მიმცემი თვითონ კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ფულადი თანხა ბენეფიციარს (ახალი ქსელებს), ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში. საბანკო გარანტია ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უნდა იყოს არანაკლებ 1 წელი. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა გულისხმობს, აქცეპტანტის მიერ ახალი ქსელების ანგარიშზე ჩარიცხულ თანხას, რომელიც მოიაზრება მომსახურების მიწოდების საფუძველზე წარმოშობილი აქცეპტანტის ვალდებულებების შესრულების გარანტიად და იმ შემთხვევაში, თუ აქცეპტანტი არ დაფარავს ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ფინანსურ ვალდებულებას, ახალ ქსელებს ეძლევა უფლება აქცეპტანტის მხრიდან ყოველგვარი წინასწარი თანხმობის გარეშე დაიკმაყოფილოს მოთხოვნა ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხიდან. ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო თანხა ატარებს სასწრაფო და უპირობო ხასიათს. ხელშეკრულების შესრულების გარანტია უნდა იყოს აქცეპტანტის მიერ ახალი ქსელებისათვის ხელშეკრულების თანახმად ორი თვის გადასახდელი თანხის ოდენობა.

4.2.4. ახალი ქსელები ასევე იტოვებს უფლებას, მოსთხოვოს ამ ოფერტის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების მხარეს ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენა, თუ აქცეპტანტი ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში დაარღვევს ანგარიშსწორების ვალდებულებას და ეს უკანასკნელი ვალდებულია 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს მოთხოვნილი გარანტია.

4.3. იმ შემთხვევაში, თუ მსურველი პირის მხარეს არსებობს შეუსრულებელი ფინანსური ვალდებულება ახალი ქსელების წინაშე, იგი ვალდებულია დაფაროს არსებული დავალიანება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი წერილობითი განაცხადი არ ჩაითვლება მიღებულად და შესაბამისად ახალი ქსელების მხრიდან არ წარმოშობს არანაირ ვალდებულებას გააფორმოს მასთან ხელშეკრულება წინამდებარე ოფერტის შესაბამისად.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი წერილობითი განაცხადი არ აკმაყოფილებს 2.2 და 2.3 პუნქტებით გათვალისწინებულ, მსურველ პირს 4 სამუშაო დღის ვადაში ეცნობება ამის შესახებ და ამ შემთხვევაში 4.5 და 4.6 პუნქტებში აღნიშნული ვადის ათვლა არ დაიწყება. ვადის ათვლა დაიწყება მხოლოდ დოკუმენტაციის სრულად წარმოდგენის შემდგომ. შესაძლებელია, მხარეთა შორის ხელშეკრულება გაფორმდეს 4.2.3 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების გარანტიის წარმოდგენამდე, მაგრამ ამ შემთხვევაში ხელშეკრულება ძალაში შევა მხოლოდ აღნიშნული გარანტიის ახალი ქსელებისათვის წარდგენის დღიდან.

4.5 იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შედგენილია 4.1 და 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, მაგრამ მოთხოვნილია წინამდებარე ოფერტისგან განსხვავებული დაშვების განხორციელების პირობები, ახალი ქსელები 5 სამუშაო დღის ვადაში შეისწავლის განაცხადში მითითებული სქემით დაშვების განხორციელების მიზანშეწონილობას და აცნობებს მსურველ პირს.

4.6 4.5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია დაშვების განხორციელება განაცხადში მოთხოვნილი სქემის მიხედვით მიიჩნევა, რომ განაცხადი არ

აკმაყოფილებს წინამდებარე ოფერტის პირობებს და 4.7 და 4.8 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის ათვლა არ დაიწყება. ახალი ქსელები შესაძლებლობების ფარგლებში შესთავაზებს მსურველ პირს ალტერნატიულ ვარიანტს, რაზეც მხარეები შეთანხმდებიან დამატებით. დაშვების განხორციელების სქემის შეთანხმების შემდგომ, მსურველი პირი ვალდებულია ხელახლა მიმართოს ახალ ქსელებს განაცხადით.

4.7 4.1 და 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით შედგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში მსურველ პირს გადაეცემა დაშვების ხელშეკრულების პროექტი ან ელექტრონული სახით გაეგზავნება მის მიერ მითითებულ ელექტრონულ მისამართზე. მსურველი პირი ვალდებულია 5 (ხუთი) დღის ვადაში ელექტრონული სახით გაუგზავნოს ახალ ქსელებს შესაძლო შენიშვნები ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით. ახალი ქსელები შემდგომი 5 (ხუთი) დღის განმავლობაში უგზავნის ხელშეკრულების ხელმოწერილ ეგზემპლარებს მსურველ პირს. მსურველი პირი ვალდებულია 5 (ხუთი) დღის ვადაში ხელშეკრულების მისი მხრიდან ხელმოწერილი ეგზემპლარი გადასცეს ახალ ქსელებს, წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევა, რომ წინამდებარე ოფერტაზე აქცეპტი არ განხორციელებულა და ახალ ქსელებსა და მსურველ პირს შორის სამართლებრივი ურთიერთობა არ არსებობს.

4.8 მხარეები ვალდებულნი არიან ზედმიწევნით დაიცვან 4.7 პუნქტით გათვალისწინებული ვადები და განაცხადის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმალობაში გააფორმონ შესაბამისი ხელშეკრულება.

5.ფართებზე დაშვება და მომსახურება
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.დ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

5.1. თავისუფალი ფართის არსებობის პირობებში, აქცეპტანტის დაშვება შესაძლებელია თბილისში, ჩიქოვანის ქ.#16 და ქუთაისში, თამარ მეფის ქ.#22, სადაც ოფერანტი უზრუნველყოფს არასანქცირებული შეღწევისგან დაცვას, აქცეპტანტის მომსახურე პერსონალის წინასწარი წერილობითი შეთანხმებით დაშვებას, ელექტრულ კვებას მუდმივი დენის წყაროებიდან და კონდიცირებას, რის საფასურს აქცეპტანტი გადაიხდის მხარეთა შეთანხმების შესაბამისად.

5.2. ოფერანტის ფართებზე აქცეპტანტის მოწყობილობის განთავსების ყოველთვიური საფასური, გაბარიტების მიხედვით, გადასახადების ჩაუთვლელად, შეადგენს: 1მ x 1მ x 1მ ტოლ ან ნაკლებ გაბარიტებზე (700) ლარი, ხოლო ნებისმიერი განზომილების ყოველ დამატებით 0,5 მ-მდე (100) ლარი.

6. დამატებითი სიმძლავრეების გამოყოფის პროცედურა
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ვ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

6.1. აქცეპტანტისთვის მომსახურების მოცულობის გაზრდა განხორციელდება წერილობით წარმოდგენილი განაცხადის საფუძველზე, ტექნიკური შესაძლებლობის/თავისუფალი რესურსის არსებობის შემთხვევაში, ხელშეკრულების დანართის გაფორმების შემდეგ 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. დაზიანებული კაბელის აღდგენის ვადები
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ზ) ქვეპუნქტის შესაბამისად)

7.1. დაზიანებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის აღდგენის ვადები არ აღემატება „ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდების წესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კომისიის მიერ დადგენილი რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადებს.

ნაწილი 8. ოფერტის მოქმედების ვადა
(გადაწყვეტილების 8.1 პუნქტის ა.ი) ქვეპუნქტის შესაბამისად)

8.1. წინამდებარე მოწვევის ოფერტა ძალაშია 2019 წლის 15 იანვრიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში. აღნიშნული პერიოდის დასრულების შემდეგ, ოფერტის პირობები რჩება ძალაში, ვიდრე ოფერანტი არ შეიტანს მასში ცვლილებებს.

შპს „ახალი ქსელები"-ს დირექტორი ნანა შარაშენიძე

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0186, ანნა პოლიტკოვსკაიას ქ.42
ტელეფონი: (032) 2110000
ელ.ფოსტა: info@ak.ge